განმცხადებელი : ა/ო "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" PHR

თარიღი : 02-04-2018

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 8

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : „რუსთავი 2-ის“ გადაცემის „შაბათის კურიერის“ პროდიუსერი და ჟურნალისტები - თამთა ჩიტიშვილი, ედიშერ მუშკუდიანი, ბაკურ ჩიხლაძე

სადავო მასალა : სიუჟეტის დასახელება: „მოძალადე მასწავლებელი“; სიუჟეტის გასვლის თარიღი: 2018 წლის 31 მარტი; მედიასაშუალება: „რუსთავი 2“; სადავო მასალის ბმული: http://rustavi2.ge/ka/video/31584?v=2 ;

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : ა/ო ორგანიზაციას „პრტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სურს გამოხატოს თავისი პოზიცია 2018 წლის 31 მარტს „რუსთავის 2-ის“ ეთერში გადაცემა -„შაბათის კურიერში“ გასული რეპორტაჟის შესახებ, რომელშიც 15 წლის გოგონა სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს პედაგოგს. სიუჟეტი შეიცავს ვიდეო ჩანაწერს, სადაც ისმის მსხვერპლისა და პედაგოგის საუბარი. ჟურნალისტებმა ვერ უზრუნველყვეს ბავშვის კონფიდენციალურობის სრული დაცვა, რის შემდეგაც მოხერხდა მისი ამოცნობა და არასრულწოვანი თანატოლებისგან ჩაგვრის მსხვერპლი გახდა და შედეგად, თვითმკვლელობა სცადა. PHR-ი მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემის „შაბათის კურიერის“ პროდიუსერმა და ჟურნალისტმა დაარღვიეს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-8 პრინციპი. ჟურნალისტური ქარტიის მე-8 პრინციპის თანახმად, „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის“. ორგანიზაციის პოზიციით, ჟურნალისტმა ვერ შეაფასა მოსალოდნელი საფრთხე, რომელსაც ძალადობის ფაქტის გაშუქებით უქმნიდა მოზარდს. სიუჟეტში იდენტიფიცირებულია არასრულწლოვნის ხმა, ასევე, ისეთი დეტალები, როგორიცაა მოზარდის საცხოვრებელი სახლისა და გარემოს კადრები, სამაჯური, რომელიც არასრულწლოვანს ხელზე უკეთია, თმა, სამოსი, რაც ნაცნობებისთვის საკმარისი ინფორმაციაა იდენტიფიცირებისათვის. გარდა ამისა, ის ფაქტორი, რომ გოგონა საფეხბურთო ნაკრებში თამაშობს, ავიწროებს მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ასევე, რუსულ ენაზე მოსაუბრე მშობელი. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობამ ადვილად შესაძლებელი გახადა არასრულწლოვნის ვინაობა, შედეგად კი, ძალადობაგამოვლილი გოგონა თანატოლებისგან აგრესიის, ზეწოლის, ბულინგისა და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა. აღნიშნულმა ფაქტმა იმდენად ნეგატიური გავლენა მოახდინა მსხვერპლზე, რომ არასრულწლოვანმა მიიყენა თვითდაზიანებები და თვითმკვლელობა სცადა. მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტი უნდა აცნობიერებდეს მის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გავლენასა და

შედეგს, უნდა ითვალისწინებდეს საკითხის სიმძაფრეს, სპეციფიკას, კულტურულ ფაქტორებს, და უნდა მოქმედებდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჟურნალისტს უნდა ეხმარა ყველა ღონე, რათა დაეფარა ყველა ის დეტალი, რაც გოგონას იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდა და თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე. იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტმა ვერ მოახერხა აღნიშნული პრინციპის დაცვა, მის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ კი საფრთხე შეუქმნა არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაცემის პროდიუსერმა და ჟურნალისტმა დაარღვიეს პროფესიული ეთიკის მე-8 პრინციპი.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები